



2016 წლის 8 ოქტომბრის

საქართველოს პარლამენტის არჩევნები

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონების საარჩევნო ოლქებში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და საარჩევნო კამპანიის წარმოების ფინანსური ასპექტების თაობაზე სამონიტორინგო პროგრამის შუალედური ანგარიში

8 აგვისტო - 7 ოქტომბერი

თბილისი, 2016

ანგარიში მომზადდა და გამოიცა საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ, პროექტის „ხელი შეეწყოს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახელებულ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში თავისუფალ, სამათლიან და კონკურენტუნარიან საარჩევნო გარემოს“ ფარგლებში.

წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES), USAID-ის ან ამერიკის მთავრობის მოსაზრებებს



## ანგარიშის შინაარსი:

1. ძირითადი მიზნებები
2. შესავალი
3. საარჩევნო მიზნებით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება
  - ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის
  - ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის
  - ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის
  - აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის
  - აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის
4. პოლიტიკური სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოების ფინანსური ასპექტები
5. რეკომენდაციები

## 1. ძირითადი მიგნებები:

საარჩევნო გარემო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით გამოირჩევა თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ნინოწმინდა-ახალქალაქის # 46-ე, ადიგენი-ახალციხის # 44-ე, ბორჯომი-ასპინძა-ახალქალაქის # 45-ე (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მარნეულის # 35 და # 36-ე, ბოლნისი-დმანისი-წალკის # 34-ე, გარდაბნის # 31-ე, გარდაბანი-თეთრიწყარო # 32-ე (ქვემო ქართლის რეგიონი) და საგარეჯოს # 23 -ე (კახეთის რეგიონი) საარჩევნო ოლქებში. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა, უფრო მეტ პოლიტიკურ სუბიექტს ეწარმოებინა საარჩევნო კამპანია შედარებით მშვიდ, სამართლიან და კონკურენტუნარიან გარემოში.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2012 წლის არჩევნებისაგან განსხვავებით საჯარო ღონისძიებები, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მუნიციპალური პროგრამებისა და ახალი ინფრასტრუქტურული ინიციატივების პრეზენტაცია, დღესასწაულების აღნიშვნა და სხვა, რომლებიც რეალიზებულ იქნა პროექტის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში ნაკლები დოზით იყო დატვირთული ვიწრო პარტიული-პროპაგანდისტული შემადგენლით, რაც თვის მხრივ გარკვეული პროგრესის მანიშნებელია.

აღნისანიშნავია ის ფაქტიც, რომ საარჩევნო გარემო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის პროექტის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში გამოირჩევა გამოვლენილი ელექტორალური ხასიათის დარღვევების ნაკლები სამართლებრივი სიმძიმით, ისევე როგორც დარღვევების გამოვლენის დაბალი სიხშირით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ იქნა: ა) აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენების 15 ფაქტი; ბ) აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების 2 ფაქტი; გ) ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენების 1 ფაქტი; დ) ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების 12 ფაქტი; ე) ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენების 2 ფაქტი.

სადამკვირვებლო პროგრამის ფარგლებში ასევე გამოვლინდა ტენდენცია, რის შესაბამისადაც, 2016 წელს საგარეჯოს, ნინოწმინდის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში გაზრდილია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები 2015 წელთან შედარებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, თუ მხედველობაში მივიღებთ 2015 წლის ინფლაციის მაჩვენებელს, რომელიც განსაზღვრა მსოფლიო ბანკმა, მაშინ აღმოჩნდება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 4 % -ითაა შემცირებულია 2016 წელს წინა წელთან შედარებით, ხოლო ახალქალაქის, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის ბიუჯეტები გაზრდილია 5 %-ზე მცირედით მეტით. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბიუჯეტის ყველაზე დიდი, რეალური ზრდა დაფიქსირდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, რომელიც 2016 წელს 44 %-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ადიგენის, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები (5 %, 5 % და 4 %) მცირედითაა გაზრდილი 2016 წელს წინა წელთან შედარებით, თუ მხედველობაში მივიღებთ მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრულ ინფლაციის დონეს.

რაც შეეხება სადამკვირვებლო პროგრამის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში, კერძოდ კი საგარეჯოში, ნინოწმინდაში, ადიგენში, ახალქალაქში, ახალციხეში, გარდაბნში, მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე გათვალისწინებულ დანახარჯებს, ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ იქნა შემდეგი ტენდენციები. კერძოდ, თუ მხედველობაში მივიღებთ ინფლაციის მაჩვენებელს, მაშინ აღმოჩნდება, რომ 2016 წელს წინა წელთან შედარებით ყველა მიზნობრივ მუნიციპალიტეტში გაზრდილია დაფინანსება ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე. ამ თვალსაზრისით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ახალციხესა ( 75 % -ით) და ახალქალაქში (67 % -ით). ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე მცირედი ზრდაა დაფიქსირებული მარნეულისა (1 %-ით) და ნინოწმინდის (2%-ით) მუნიციპალიტეტებში.

სადამკვირვებლო პროგრამის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში სოციალური დაცულობის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის ანალიზმა ცხადყო, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ინფლაციის დონეს, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით სოციალური დაცულობის კუთხით საბიუჯეტო სახსრების კლება დაფიქსირდა საგარეჯოს (-19 %), მარნეულისა (-19 %) და დმანისის (-3 %) მუნიციპალიტეტებში.

რაც შეეხება ხსენებული პროგრამის დაფინანსების ზრდას, იგი დაფიქსირდა ნინოწმინდის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბანისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში. ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სადაც სოციალური დაცულობის პროგრამების დაფინანსება 2016 წელს 81 % - ით გაიზარდა 2015 წელთან შედარებით.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სამონიტორინგო პროგრამის მიზნობრივ საარჩევნო ოლქებში პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანია არ გახლდათ ტევადი ფინანსური რესურსების მობილიზების თვალსაზრისით. ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საანგარიშო პერიოდში არ იქნა დაფიქსირებული პოლიტიკური სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოსყიდვის ტენდენცია, თუ არ გავითვალისწინებთ რამოდენიმე ფაქტს, რომლებიც იდენტიფიცირებულ იქნა გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ.

სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული ფაქტებისა და გამოვლენილი ელექტორალური ხასიათის ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, რომელიც დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, კვლავაც სახეზეა რიგი გამოწვევებისა რომლებიც საჭიროებენ დროულ და ეფექტურ რეაგირებას, ისევე როგორც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში კომპლექსური მიდგომების შემუშავებას.

აღნიშნულ გამოწვევებს შორისაა:

- ა) საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა და დამრღვევ პირთა მიმართ დროული და ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომების გატარება;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო საათებში აგიტაციის გაწევა მმართველი პარტიის სასარგებლოდ;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საბიუჯეტო, თუ ადამიანური რესურსების გამოყენება პარტიული მიზნებისათვის;
- დ) აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება პარტიული მიზნებისათვის;
- ე) წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოსყიდვა;
- ვ) საჯარო ღონისძიებების ჩატარების პროცესში საჯარო მოხელეების მიერ მოსახლეობისათვის საჩუქრების დარიგება;

ზ) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საარჩევნო წელს, მათ შორის წინასაარჩევნო პერიოდში სოციალური დახმარების, ისევე როგორც მსხვილი ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტების დაფინანსების ზრდა.

## 2. შესავალი

საერთაშორისო, ისევე როგორც ეროვნული ელექტორალური პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება გავლენას ახდენს როგორც წინასაარჩევნო პროცესებზე, ასევე არჩევნების საბოლოო შედეგებსა და ზოგად პოლიტიკურ გარემოზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით საარჩევნო მიზნებით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე მონიტორინგის დაწესება ატარებს უაღრესად აქტუალურ ხასიათს, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში შემავალ საარჩევნო ოლქებში, რომლებიც ტრადიციულად ხასიათდებიან საარჩევნო მიზნებით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრაქტიკით, რაც არაერთხელ იქნა დაფიქსირებული როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მიერ წინამორბედი არჩევნების დროს, განსაკუთრებით კი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.


გარდა აღნიშნულისა, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის თვალსაზრისით აქტუალობას არ კარგავს პოლიტიკური სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოების ფინანსური ასპექტები, რაც თავის მხრივ სიღრმისეულ შესწავლასა და გაანალიზებას საჭიროებს. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს თუ რამდენად იცავენ პოლიტიკური სუბიექტები საარჩევნო კამპანიის წარმართვის წესებს, რა მეთოდებს იყენებენ ამ პროცესში და რით განსხვავდება მათ მიერ წარმოებული პოლიტიკური კამპანია ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტურ დასახლებებში თბილისისა და სხვა მსხვილი რეგიონალური ცენტრებისაგან.

შესაბამისად, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭრით საერთო - სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ ახორციელებს პროექტს „ხელი შეეწყოს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში თავისუფალ, სამათლიან და კონკურენტუნარიან საარჩევნო გარემოს“.

პროექტის მიზნობრივ არეალს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ნინოწმინდა-ახალქალაქის # 46-ე, ადიგენი-ახალციხის



# 44-ე, ბორჯომი-ასპინძა-ახალქალაქის # 45-ე (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მარნეულის # 35 და # 36-ე, ბოლნისი-დმანისი-წალკის # 34-ე, გარდაბნის # 31-ე, გარდაბანი-თეთრიწყარო # 32-ე (ქვემო ქართლის რეგიონი) და საგარეჯოს # 23 -ე (კახეთის რეგიონი) საარჩევნო ოლქები.



სამონიტორინგო პროგრამა ხორციელდება 7 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით, რომლებიც მუდმივ რეჟიმში აკვირდებიან ზემოაღნიშნულ საარჩევნო ოლქებში არსებულ ვითარებასა და ტენდენციებს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტებთან მიმართებაში, ისევე როგორც მონიტორინგს გასწევენ პოლიტიკური სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოების ფინანსურ ასპექტებთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2016 წლის 8 აგვისტოდან 7 ოქტომბრამდე პერიოდს. საანგარიშო პერიოდში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები აღნუსხავდნენ ყველა შემთხვევას, რის შესაბამისადაც შესაძლოა ადგილი ქონოდა საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას. გარდა აღნიშნულისა, ორგანიზაციის დამკვირვებლები ესწრებოდნენ პოლიტიკურ კამპანიასა და საჯარო ღონისძიებებს, ისევე როგორც მონიტორინგს გასწევდნენ პოლიტიკური სუბიექტების მიერ სარეკლამო კამპანიის წარმოების პროცესზე, მათ

შორის აღნუსხავდნენ პოლიტიკური სუბიექტების მიერ ბილბორდებისა და ბანერების განთავსების ადგილებს, ასევე მათ ზომებს.

საანგარიშო პერიოდში ყველა ფაქტი, რომელიც იდენტიფიცირებულ იქნა გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ ექვემდებარებოდა ხელმეორედ შესწავლასა და გადამოწმებას. ამ პროცესში ჩართული გახლდათ ორგანიზაციის იურისტი, ისევე როგორც ეკონომისტი.

### 3. საარჩევნო მიზნებით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

საერთო - სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები ახორციელებენ დაკვირვებას საარჩევნო მიზნებით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ნინოწმინდა-ახალქალაქის # 46-ე, ადიგენი-ახალციხის # 44-ე, ბორჯომი-ასპინძა-ახალქალაქის # 45-ე (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მარნეულის # 35 და # 36-ე, ბოლნისი-დმანისი-წალკის # 34-ე, გარდაბნის # 31-ე, გარდაბანი-თეთრიწყარო # 32-ე (ქვემო ქართლის რეგიონი) და საგარეჯოს # 23 -ე (კახეთის რეგიონი) საარჩევნო ოლქებში.

სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში დაკვირვება ხორციელდება ადმინისტრაციული რესურსების შესაძლო გამოყენების ოთხ ძირითად შემადგენელზე:

- 1) **საარჩევნო მიზნებით აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება**, რაც გულისხმობს პოლიტიკური ოპონენტების, მათი მხარდამჭერებისა და ამომრჩევლების წინააღმდეგ სახელმწიფოს აღსრულებითი, მათ შორის ძალადობრივი მექანიზმების შერჩევითად გამოყენებას. აღნიშნული მიმართულებით „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები მონიტორინგს გასწევდნენ იმის გამოსავლენად, ხდებოდა თუ არა მაგალითად პოლიტიკური ნიშნით პირთა დაკავება, ხორციელდებოდა თუ არა მათზე რაიმე სახის ზეწოლა, ქონდა თუ არა ადგილი დაშინებისა და სამსახურიდან განთავისუფლების ფაქტებს და სხვა.
- 2) **საარჩევნო მიზნებით სამართლებრივი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება**, რაც გულისხმობს რომელიმე პარტიის / კანდიდატის საარჩევნო ინტერესების სასარგებლოდ ან საზიანოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების გამოყენებას. აღნიშნული მიმართულებით „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები მონიტორინგს გასწევდნენ იმის დასადგენად, ხდებოდა თუ არა ადგილობრივ დონეზე ისეთი საკანონმდებლო ინიციატივების ინიცირება, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებდა რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტს.

- 3) *საარჩევნო მიზნებით ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება*, რაც გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებების ადამიანური, მატერიალური და არაფულადი რესურსის, მათ შორის სახელმწიფოს დაფინანსებული ან/და მის ფლობელობაში მყოფი მედია და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო აქტივობების ხელშეწყობის ან ხელშეშლისათვის. შესაბამისად, „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლები მონიტორინგს გასწევდნენ თუ რამდენად ხდებოდა პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო დაწესებულებების ადამიანური, მატერიალური და არაფულადი რესურსების გამოყენება.
- 4) *საარჩევნო მიზნით ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება*, რაც თავის თავში მოიაზრებს ადგილობრივი ხელისუფლების ფულადი რესურსების მიმართვას რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო მიზნების რეალიზების ხელშესაწყობად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სადამკვირვებლო პროგრამის ფარგლებში გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი და აღნუსხული ინციდენტები ზოგადად დაიყო და შესაბამისად დაჯგუფდა ორ ძირითად კატეგორიად, კერძოდ ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება (*სავარაუდო ინციდენტები*) და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება (*ინციდენტები*).

*სავარაუდო ინციდენტებში* მოიაზრება ფაქტების ის კატეგორია, რომელთაც ადგილი ქონდა მაღალი ალბათობით, მაგრამ შეუძლებელია მათი დადასტურება სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის ინფორმატორის სურვილი არ გაამჟღავნოს ვინაობა და ინფორმაციის წყარო. რაც შეეხება *ინციდენტებს*, იგულისხმება, რომ ყველა მათგანი ექვემდებარება დასტურს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა საარჩევნო მიზნებით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების / სავარაუდო გამოყენების რიგი ფაქტები.

**ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის**

„მრავალეროვანმა საქართველომ“ გამოითხოვა ფინანსური დოკუმენტაცია (ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, როგორც გეგმიური, ასევე ფაქტიური მაჩვენებლები) პროექტის მიზნობრივი მუნიციპალიტეტებიდან, რომელთა ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ტენდენცია, რის შესაბამისადაც, 2016 წელს საგარეჯოს, ნინოწმინდის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში გაზრდილია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები 2015 წელთან შედარებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, თუ მხედველობაში მივიღებთ 2015 წლის ინფლაციის მაჩვენებელს, რომელიც განსაზღვრა მსოფლიო ბანკმა<sup>1</sup>, მაშინ აღმოჩნდება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 4 % -ითაა შემცირებულია 2016 წელს წინა წელთან შედარებით, ხოლო ახალქალაქის, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის ბიუჯეტები გაზრდილია 5 %-ზე მცირედით მეტით. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბიუჯეტის ყველაზე დიდი, რეალური ზრდა დაფიქსირდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, რომელიც 2016 წელს 44 %-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ადიგენის, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები (5 %, 5 % და 4 %) მცირედითაა გაზრდილი 2016 წელს წინა წელთან შედარებით, თუ მხედველობაში მივიღებთ მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრულ ინფლაციის დონეს.

რაც შეეხება სადამკვირვებლო პროგრამის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში, კერძოდ კი საგარეჯოში, ნინოწმინდაში, ადიგენში, ახალქალაქში, ახალციხეში, გარდაბნში, მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე გათვალისწინებულ დანახარჯებს, ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ იქნა შემდეგი ტენდენციები. კერძოდ, თუ მხედველობაში მივიღებთ ინფლაციის მაჩვენებელს, მაშინ აღმოჩნდება, რომ 2016 წელს წინა წელთან შედარებით ყველა მიზნობრივ მუნიციპალიტეტში გაზრდილია დაფინანსება ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე. ამ თვალსაზრისით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ახალციხესა ( 75 % -ით) და ახალქალაქში (67 % -ით). ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე მცირედი ზრდაა დაფიქსირებული მარნეულისა (1 %-ით) და ნინოწმინდის (2%-ით) მუნიციპალიტეტებში.

---

<sup>1</sup> [www.worldbank.org/en/country/georgia](http://www.worldbank.org/en/country/georgia)

სადამკვირვებლო პროგრამის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში სოციალური დაცულობის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის ანალიზმა ცხადყო, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ინფლაციის დონეს, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით სოციალური დაცულობის კუთხით საბიუჯეტო სახსრების კლება დაფიქსირდა საგარეჯოს (-19 %), მარნეულისა (-19 %) და დმანისის (-3 %) მუნიციპალიტეტებში. რაც შეეხება ხსენებული პროგრამის დაფინანსების ზრდას, იგი დაფიქსირდა ნინოწმინდის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბანისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში. ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სადაც სოციალური დაცულობის პროგრამების დაფინანსება 2016 წელს 81 % - ით გაიზარდა 2015 წელთან შედარებით.

	საგარეჯო			წინოწმინდა			გარდაბანი		
	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური
2015	7 476 500	5 449 690	709 200	7 682 600	3 950 000	241 500	11 180 400	9 980 400	740 600
2016	7 500 000	6 923 473	602 025	8 260 000	4 203 500	308 900	11 680 600	14 959 100	843 000
განსხვავება	23 500	1 473 783	- 107 175	577 400	253 500	67 400	500 200	4 978 700	102 400
2015 ინფლაციით	7 775 560	5 667 677,60	737 568	7 989 904	4 108 000,00	251 160,00	11 627 616	10 379 616,00	770 224,00
რეალური ცვლილება	275 560	1 255 795	- 135 543	270 096	95 500	57 740	52 984	4 579 484	72 776
რეალური ცვლილება %	-4%	23%	-19%	4%	2%	24%	0%	46%	10%

ყველა %-ული ცვლილება არის „რეალური“, სხვა სიტყვებით ისინი ითვალისწინებენ 2015 წლის ინფლაციის დონეს, იხილეთ <http://www.worldbank.org/en/country/georgia>

	ადიგენი			ახალკლაკი			ახალციხის გამგეობა		
	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური
2015	3 472 900	4 389 200	198 700	12 933 700	7 576 800	381 200	3 472 900	4 802 000	293 200
2016	3 783 400	5 052 100	288 900	19 177 300	12 954 800	704 300	3 783 400	8 599 900	400 600
განსხვავება	310 500	662 900	90 200	6 243 600	5 378 000	323 100	310 500	3 797 900	107 400
2015 ინფლაციით	3 611 816	4 564 768,00	206 648,00	13 451 048	7 879 872,00	396 448,00	3 611 816	4 994 080	304 928
რეალური ცვლილება	171 584	487 332	82 252	5 726 252	5 074 928	307 852	171 584	3 605 820	95 672
რეალური ცვლილება %	5%	11%	41%	44%	67%	81%	5%	75%	33%

ყველა %-ული ცვლილება არის „რეალური“, სხვა სიტყვებით ისინი ითვალისწინებენ 2015 წლის ინფლაციის დონეს, იხილეთ <http://www.worldbank.org/en/country/georgia>


	გარდაბანი			მარნეული			ზოლნისი		
	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური
2015	11 180 400	9 980 400	740 600	24 290	13 881	1 222	18 964	5 545	1 894
2016	11 668 600	14 959 100	843 000	28 178	14 566	1 036	23 968	8 584	2 623
განსხვავება	488 200	4 978 700	102 400	3 888	685	- 187	5 004	3 039	729
2015 ინფლაციით	11 627 616	10 379 616	770 224	25 262	14 436	1 271	19 722	5 767	1 970
რეალური ცვლილება	40 984	4 579 484	72 776	2 916	129	- 235	4 245	2 817	653
რეალური ცვლილება %	0%	46%	10%	12%	1%	-19%	22%	51%	34%

ყველა %-ული ცვლილება არის „რეალური“, სხვა სიტყვებით ისინი ითვალისწინებენ 2015 წლის ინფლაციის დონეს, იხილეთ <http://www.worldbank.org/en/country/georgia>

	დმანისი		
	ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურა	სოციალური
2015	7 905	4 445	287
2016	9 877	6 360	290
განსხვავება	1 972	1 915	3
2015 ინფლაციით	8 221	4 622	299
რეალური ცვლილება	1 656	1 737	9
რეალური ცვლილება %	21%	39%	-3%

ყველა %-ული ცვლილება არის „რეალური“, სხვა სიტყვებით ისინი ითვალისწინებენ 2015 წლის ინფლაციის დონეს, იხილეთ <http://www.worldbank.org/en/country/georgia>


### ცვლილება მუნიციპალურ ბიუჯეტში



ფარდობითი ცვლილება	დასაწყისი	ბიუჯეტი
	<b>2015</b>	<b>2016</b>
საგარეეგო	0	-4%
ნინოწმინდა	0	4%
გარდაბანი	0	0%
ადიგენი	0	5%
ახალქალაქი	0	44%
ახალციხის გამგეობა	0	5%
მარნეული	0	12%
ბოლნისი	0	22%
დმანისი	0	21%




### ცვლილება ინფრასტრუქტურულ ხარჯებში



ფარდობითი ცვლილება დასაწყისი	ბიუჯეტი
ინფრასტრუქტურა	2016
საგარეუკო	23%
ნინოწმინდა	2%
გარდაბანი	46%
ადიგენი	11%
ახალქალაქი	67%
ახალციხის გამგეობა	75%
მარნეული	1%
ბოლნისი	51%
დმანისი	39%

## ცვლილება სოციალური უზრუნველობის ხარჯებში

ფარდობითი ცვლილება დასაწყისი	ბიუჯეტი	
	2015	2016
საგარეჯო	0	-19%
ნინოწმინდა	0	24%
გარდაბანი	0	10%
ადიგენი	0	41%
ახალქალაქი	0	81%
ახალციხის გამგეობა	0	33%
მარნეული	0	-19%
ბოლნისი	0	34%
დმანისი	0	-3%



*ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან*

#35-ე მარნეულის საარჩევნო ოლქში, მიმდინარე წლის 12 სექტემბერს ყურბან ბაირამის დღესასწაულის აღნიშვნის ფარგლებში უშუალოდ მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ (მათ შორის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და სხვა საჯარო მოხელეები) ხდებოდა ქალაქსა და მიმდებარე სოფლებში ხორცის უსასყიდლოდ დარიგება ადგილობრივ მოსახლეობას შორის. არსებული ინფორმაციით ხორცი დაურიგდათ მთლიანობაში 50 ოჯახს (თითო ოჯახს 2-3 კგ.). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მმართველი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი, ან სხვა პარტიული წარმომადგენელი აღნიშნულ აქციაში მონაწილეობას არ იღებდა.

**ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის**

***#46 ნინოწმინდა - ახალქალაქის საარჩევნო ოლქი:***

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, 22 აგვისტოს დღის 12 საათზე ნინოწმინდაში გაიმართა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აქცია რომელსაც ესწრებოდა პრემიერ მინისტრი, ასევე გამგეობის თანამშრომლები, განათლების რესურს ცენტრის უფროსი, სკოლების დირექტორები და მასწავლებლები. აქცია ტარდებოდა სამუშაო საათებში.

13 სექტემბერს, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ახალქალაქი-ნინოწმინდის 46-ე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ენზელ მკოიანმა შეხვედრები გამართა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში დადეშაში (11.40-12.25-მდე), კარწახში (12.40-13.30-მდე), ბოზალში (13.45-14.15-მდე) და სულდაში (14.25-14. 50-მდე) ადგილობრივ ამომრჩევლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ნინოწმინდის გამგეობის სამსახურის უფროსი, სკოლის პედაგოგები, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და ახალქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლები.

16 სექტემბერს, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ახალქალაქი-ნინოწმინდის 46-ე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ენზელ მკოიანმა შეხვედრა გამართა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელებში ჩუმდურაში (14.10-14. 40-მდე), მურჯახეთში (15.00-15. 35-მდე) და ჰორენიაში (16.00-16. 45-მდე) ადგილობრივ ამომრჩევლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ნინოწმინდის გამგეობის სამსახურის უფროსი, სკოლის პედაგოგები, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და ახალქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლები.

მიმდინარე წლის 23 სექტემბერს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ნინოწმინდა - ახალქალაქის # 46-ე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ენზელ მკოიანმა შეხვედრა გამართა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გომანში და სოფელ ბაღლოში ადგილობრივ ამომრჩევლებთან. შეხვედრები მიმდინარეობდა სამუშაო საათებში და მათ ესწრებოდნენ ნინოწმინდის გამგეობის სამსახურის უფროსი, სკოლის პედაგოგები, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და ახალქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლები, რომელთაც ეკრძალებათ აგიტაცია სამუშაო საათებში.

#### ***# 44 ადიგენი-ახალციხის საარჩევნო ოლქი***

მიმდინარე წლის 22 აგვისტოს ადიგენში გაიმართა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აქცია, რომელიც სამუშაო საათებში მიმდინარეობდა. აქციაში მონაწილეობას იღებდნენ ახალციხის მერიის 3 თანამშრომელი კერძოდ, საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი გიორგი გვარამაძე, მერიის მოადგილე ზაზა გელაძე და მერიის კულტურის სამსახურის უფროსი გელა ძამუნაშვილი. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობას იღებდა ადიგენის გამგებლის მოადგილე მინდია ჯელია. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არცერთი ზემოთ აღნიშნული პირი შვებულებაში არ იმყოფებოდა, რასაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს (საარჩევნო კოდექსის 45-ე და 49-ე მუხლები).

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ 22 აგვისტოს დაფიქსირდა აგიტაციის ფაქტი სამუშაო საათებში ახალციხის მუნიციპალიტეტში. კერძოდ, ნანა მესხი, ახალციხის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის

სამსახურის თანამშრომელი, მერი გოგოლაური, მერიის იურიდიული სამსახურის თანამშრომელი, ინგა დიაკონოვა, კულტურის სამსახურის თანამშრომელი, ნაირა სამსონიძე, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი და მარიკა პარუნაშვილი, მერის თანამშემწე სამუშაო საათებში აგიტაციის მიზნით აზიარებდნენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის გიორგი კოპაძის გამოსვლებს და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ ორგანიზებული აქციის ამსახველ სურათებს.

### ***# 36 მარნეულის საარჩევნო ოლქი***

მიმდინარე წლის 23 სექტემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიზილ-აჯლოში გაიმართა # 36 მარნეულის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარული კანდიდატის თამაზ ნავერიანის შეხვედრა (14.10-15.00) ადგილობრივ ამომრჩევლებთან საარჩევნო პლატფორმის პრეზენტაციის მიზნით. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის პოდაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და საკრებულოს წევრები, საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის თანამშრომლები.

### **ინსტიტუციონალური ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის**

#### ***#35 მარნეულის საარჩევნო ოლქი:***

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, მარნეულის კოლეჯში, სადაც სწავლება ფასიანია, სექტემბრიდან დაიწყო 4 თვიანი პროფესიული გადამზადების (3 სპეციალობით) კურსები, რომელიც ხორციელდება განათლების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია რომ მსგავსი პროგრამის განხორციელება არასაარჩევნო წლებში არ მომხდარა და არც დაწყებამდე არ იყო ცნობილი ამ პროგრამის შესახებ.

#### ***#46 ნინოწმინდა - ახალქალაქის საარჩევნო ოლქი:***

22 აგვისტოს საქართველოს პრემიერ მინისტრი ბატონი გიორგი კვირიკაშვილი ახალქალაქს სტუმრობდა, რათა წარედგინა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.

„მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციით სკოლის პედაგოგებს თხოვდნენ დასწრებოდნენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ღონისძიებას.

## აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის

### *#46 ნინოწმინდა - ახალქალაქის საარჩევნო ოლქი:*

„მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციით 7 აგვისტოს ახალქალაქში ბაგა-ბაღის და სკოლის მასწავლებლები იმყოფებოდნენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე ხელმძღვანელობის მოთხოვნით. მათი თქმით პირდაპირ დაშინებას ან მუქარას ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად აღნიშნულისა, „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიან დამკვირვებელთან არაფორმალურ საუბარში მასწავლებლებმა მოტივად სამუშაო ადგილის დაკარგვის შესაძლო საფრთხე დაასახელეს.

2 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მორაობის“ წარმომადგენლის ზ. ჩილინგარაშვილის ინფორმაციით თანამდებობიდან განთავისუფლებულია ნინოწმინდის პოლიციის თანამშრომელი გორ გომციანი, მხოლოდ იმ მიზეზით რომ მისი დედა, ლიდა ანტანოსიანი „ერთიანი ნაციონალური მორაობის“ შტაბის აქტივისტია. ნინოწმინდის პოლიციის იმ განყოფილებაში სადაც გომციანი მუშაობდა განაცხადეს, რომ მან თავად დაწერა განცხადება წასვლის შესახებ. თვით გორ გომციანი კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებს.

ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ მოპოვებული და დადასტურებული (ადგილობრივ მკვიდრთა მიერ) ინფორმაციის შესაბამისად, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ახალქალაქი-ნინოწმინდის # 46-ე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ენზელ მკოიანი, ასევე პარტიული სიით წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატი სამველ მანუკიანი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მოსახლეობას პირდებიან, რომ ისინი მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას. მოსახლეობა აგროვებს დოკუმენტებს ორმაგი მოქალაქეობის მიღების მიზნით, ხოლო ენზელ მკოიანი და სამველ მანუკიანი გასცემენ სარეკომენდაციო ხასიათის წერილებს თავიანთი ხელმოწერით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სტუმრობს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ადგილობრივ შტაბს, იმის იმედით, რომ გადაწყვიტონ ორმაგი მოქალაქეობის მიღების საკითხი. მსურველები თავად იხდიან თანხას საჯარო რეესტრში შესაბამისი პროცედურების გასავლელად. საჯარო რეესტრი გასცემს დაპირებას, რომ პასუხები 3 თვის განმავლობაში იქნება ცნობილი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოსახლეობას, ნამდვილად სჯერა, რომ მიიღებენ ორგანო მოქალაქეობას, იმდენად, რამდენადაც მათ დაპირებას თავად ენზელ მკოიანი და სამველ მანუკიანი აძლევენ.

### ***#35 და # 36 მარნეულის საარჩევნო ოლქები:***

7 აგვისტოს ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“ რაიონული ოფისის თავმჯდომარის ი. ბაირამოვის ინფორმაციით მათ აქტივისტებზე (სოფ. შულავერი და დამია-გიურარხში) მიმდინარეობს ზეწოლა-დაშინება სოფლის რწმუნებულისა და გამგეობის თანამშრომლების მხრიდან. (დაშინების ფორმა-დაპატიმრება სხვადასხვა მოტივით). აღნიშნულ ფაქტებზე სოფლის რწმუნებული კომენტარს არ აკეთებს.

16 აგვისტოს საარჩევნო ბლოკ „გოგი თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ საარჩევნო სიაში წარმოდგენილი პირის ფ. ხალილოვის ინფორმაციით მათ აქტივისტს (ქალბატონს) ემუქრებიან სამსახურიდან დათხოვნით (მასწავლებელია სოფელ ქურთლიარში), თუ თავს არ დაანებებს ხსენებულ პარტიაში მოღვაწეობას. მიუხედავად იმისა რომ ქალბატონის სახელი და გვარი ცნობილია, მისი გასაჯაროებისაგან პირადი თხოვნის საფუძველზე თავს ვიკავებთ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის ა. იმამყულიევის ინფორმაციით 31 აგვისტოს სოფელ დამია გიურარხში მისი აქტივისტების და ნათესავების მიმართ განხორციელდა ზეწოლა-დაშინება მიწების ჩამორთმევის მუქარით თუ თავს არ დაანებებენ საქმიანობას (აგიტაციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ). ეს მუქარა ხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის მამედ მამედოვის მხრიდან.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმამყულიევის ინფორმაციით მამედ მამედოვმა ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდა მხარი დაუჭიროს „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“, რის სანაცვლოდაც იგი მათ პირდება „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის“ 6 აქტივისტისათვის მიწების ჩამორთმევას და მათთვის გადაცემას. ამ მიზნით მან მოსახლეობა მიიყვანა ზემოაღნიშნული აქტივისტების კანონიერ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და იქვე დაიწყო „განაწილების“ პროცესი. აღნიშნული შემთხვევის თაობაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ექვსმა აქტივისტმა მიმართა პროკურატურას, რომლისაგანაც მიმდინარე წლის 12 სექტემბერს მიიღეს პასუხი, რის შესაბამისადაც საქმე განსახილველად გადაეცა პოლიციას.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ საკრებულოს დეპუტატის ბატონ მამედ მამედოვის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ადასტურებს ადგილობრივი მოსახლეობა, თუმცა აღნიშნულს უარყოფს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ადგილობრივი შტაბი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის აზერ სულეიმანოვის განცხადებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები სოფლებში სადახლო, კაპანახჩი, ქურთლიარი და კირიხლო განიცდიან ზეწოლა-მუქარას სკოლის დირექტორებისა და სოფლის რწმუნებულების მხრიდან, რაც გამოიხატება მათი ნათესავებისა და ოჯახის წევრების სამსახურებიდან განთავისუფლების მუქარაში, თუ არ შეწყვეტენ აქტიურ საქმიანობას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში“. დირექტორები უარყოფენ მსგავს ფაქტს, ხოლო რწმუნებულები კომენტარს არ აკეთებენ.

26 ივლისს საარჩევნო ბლოკ „გოგი თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ საარჩევნო სიაში წარმოდგენილმა პირმა ფ.ხალილოვმა „მრავალეროვან საქართველოს“ გრძელვადიან დამკვირვებელს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო განყოფილების თანამშრომელმა მარნეული-თბილისის სამარშრუტო ხაზზე მომუშავე მძღოლებს აუკრძალა პარტია „ჩვენი სამშობლოს“ მხრიდან დაკვეთის მიღება. თავად მძღოლები მათთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ.

მიმდინარე წლის 1 სექტემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარალში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 6 აქტივისტს, გამგეობის თანამშრომელმა ალმაზ ყარაჯაევმა სახლში მიუტანა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ცნობა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად აქტივისტებს ალმაზ ყარაჯაევმა განუმარტა, რომ ჯობდა ემსახურათ სამხედრო სამსახურში, ვიდრე დაკავებულიყვნენ



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი საქმიანობით. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს როგორც აქტივისტები, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ა. იმამყულიევი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლა ოღლიში, სოფლის რწმუნებული და მისი თანამოაზრეები ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“, რის სანაცვლოდაც მათ ხელისუფლების სახელით პირდება მათ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ლეგალიზაცია-გადაფორმებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემური საკითხის გადაწყვეტას. გარდა აღნიშნულისა, დაპირებებს შორისაა სოფელში არსებული საბავშვო მოედნის დაბრუნება, რის თაობაზეც ადგილობრივი მოსახლეობა თხოვნით მიმართავდა როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს).

შესაბამისად, ქონების ლეგალიზაცია-გადაფორმების პრობლემური საკითხების გადაწყვეტა, ისევე როგორც საბავშვო მოედნის დაბრუნება სავაჭრო თემად იქცა სოფლის რწმუნებულის მხრიდან ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის პროცესში, რომლის ძირითადი მოტივიც „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსათვის“ მხარდამჭრთა მოპოვების სურვილია. ფაქტის არსებობას ადასტურებს სოფლის მცხოვრებნი.

მარნეულში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ დაფიქსირდა ნეპოტიზმისა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სავარაუდო ფაქტი, რის შესაბამისადაც მარნეულის ბაზრის მფლობელმა დაიბარა მეწარმეები და მათ განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ ხმას არ მისცემენ „ქართული ოცნება-დამოკრატიულ საქართველოს“, ასევე მის მაჟორიტარულ კანდიდატს მათთან გაწყვეტს თანამშრომლობას და მათ გააძევებს ბაზრის ტერიტორიიდან. ფაქტს ადასტურებენ ბაზრის მოვაჭრეები, თუმცა შიშის გამო უარს აცხადებენ ვინაობის გამჟღავნებისაგან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლა ოღლიში და სადახლოში ადგილობრივ თითოეულ პოდაგოგს საჯარო სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა და სოფლების რწმუნებულებმა დაავალეს არჩევნების დღეს 10 პირის მიყვანა საარჩევნო უბანზე, რომლებიც ხმას მისცემენ „ქართული ოცნება - დამოკრატიულ საქართველოს“, ასევე მის მაჟორიტარულ კანდიდატს, წინააღმდეგ შემთხვევაში

დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან. პედაგოგებს მოსთხოვეს ხსენებული ათი პირის პირადი მონაცემების წარდგენა სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პედაგოგებს სკოლების ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ უკვე დააწერინეს განცხადება სამსახურიდან ნებაყოფლობით დათხოვნის თაობაზე. ფაქტს ადასტურებენ პედაგოგები, თუმცა შიშის გამო უარს აცხადებენ ვინაობის გამჟღავნებისაგან.

### **# 23-ე საგარეჯოს საარჩევნო ოლქი**

საგარეჯოს # 23-ე საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის კაზამფარ მამედოვის გაცხადებით იორმულალოს თემში სოფლის რწმუნებულების მხრიდან ადგილი აქვს ადგილობრივ მოსახლეობისადმი შემდეგი ხასიათის კომუნიკაციას. კერძოდ, რწმუნებულები ადგილობრივ მოსახლებას ეუბნებიან, რომ თუ ხმას არ მისცემენ „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ მათ მოეხსნებათ პენსია.

გარდა ამისა, იორმულალოს თემის სოფლების რწმუნებულები შესაბამის პირებს პირდებიან პირობითი მსჯავრის მოხსნას და განთავისუფლებას საპატიმრო დაწესებულებებიდან იმ პირობით თუ ისინი, ან მათი ახლობლები მხარს დაუჭერენ „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“.

ასევე, მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის კაზამფარ მამედოვის გაცხადებით მისი საბანკო ანგარიშები დაყადაღებულია და საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება ხელოვნურად შეუზღუდეს. მისი განმარტებით იგი 2010-2012 წლებში იყო დაპატიმრებული და დაკისრებული ქონდა 14 000 ლარის ჯარიმის გადახდა. პოლიტ პატიმრის სტატუსით საპატიმრო დაწესებულების დატოვების შემდეგ, სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე მას განუმარტეს, რომ ჯარიმა არ უნდა გადაეხადა და ამ მხრივ პრობლემები არ შეექმნებოდა მომავალში. მისივე განცხადებით, მას ჯარიმის გადახდის მხრივ პრობლემა არ შექმნია. სწორედ მას შემდეგ რაც იგი დარეგისტრირდა დამოუკიდებელ მაჟორიტარულ კანდიდატად, მისი საბანკო ანგარიში იქნა დაყადაღებული.

აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის

**#46 ნინოწმინდა - ახალქალაქის საარჩევნო ოლქი:**

„მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, 7 აგვისტოს გაიმართა მასშტაბური აქცია ნინოწმინდაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ორგანიზებით, მათ მხარდამჭერები მიჰყავდათ ახალციხეში ამომრჩეველთათვის მათი კანდიდატის წარდგენის მიზნით, თუმცა აქციაზე იყვნენ სკოლისა და ბაღის მასწავლებლები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმ მიზეზით, რომ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ მივიდნენ აქციაზე; ისინი იძულებულნი იყვნენ მოსულიყვნენ სამუშაო ადგილის დაკარგვის შიშით.

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს ახალქალაქის პოლიციის უფროსმა შალვა ლომსაძემ (რომელიც ამჟამად განთავისუფლებულია თანამდებობიდან) პირადი სატაბელო იარაღით „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ადგილობრივი ოფისის წინ მდგომ მანქანაზე მიკრული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სარეკლამო პლატაკი ჩამოხია. მან ასევე მოითხოვა, რომ ავტომობილი დაუყოვნებლივ გაეყვანათ მითითებული ტერიტორიიდან. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ თვითმხილველები.

#### 4. პოლიტიკური სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოების ფინანსური ასპექტები

საანგარიშო პერიოდში რიგი პოლიტიკური სუბიექტების მიერ ხორციელდებოდა წინასაარჩევნო კამპანია, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ადგილობრივ ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებით, მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენით, ისევე როგორც მედია ბრიფინგების ჩატარებით.

შედარებით მასშტაბური ხასიათის წინასაარჩევნო შეხვედრებს მართავდნენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. გარდა აღნიშნულისა, ადგილობრივ ამომრჩევლებთან შეხვედრებს აწარმოებდნენ ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიცია“, საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“, ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“, „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკური პარტია“.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანია არ გახლდათ ტევადი ფინანსური რესურსების მობილიზების თვალსაზრისით. ძირითადად გამოყენებული იყო პარტიული სიმბოლიკა დროშების სახით, ასევე რიგდებოდა პოლიტიკური სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი მცირე ოდეზობის მაისურები და კეპები. რაც შეეხება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ და საარჩევნო ბლოკ „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“, სხვა პოლიტიკური სუბიექტებისაგან განსხვავებით წინასაარჩევნო ხასიათის შეხვედრების დროს ისინი იყენებდნენ ხმის გამაძლიერებლებს, პარტიული სიმბოლიკის მაიდენტიფიცირებელ დროშებსა და ბანერებს, ისევე როგორც არიგებდნენ მაისურებს, კეპებს, ბუკლეტებსა და ლიფლეტებს.

სხვა სახის ფინანსურად მსხვილ პროფილიან აქციებს მათი მხრიდან ადგილი არ ქონია, თუ არ ჩავთვლით „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ თაზაქენდში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) ორგანიზებულ მარათონს, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 18 მანქანიანი კოლონა. მარათონი გაგრძელდა სოფელ ვახტანგისამდე. სულ დაფარულ იქნა 35 კილომეტრი. მსგავსი ხასიათის მარათონი ორჯერ ჩატარდა.

რაც შეეხება სარეკლამო ბილბორდებისა და ბანერების განთავსებას, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სუბიექტების მიერ განთავსებული სარეკლამო ხასიათის თვალსაჩინოების რაოდენობის აღწერის, ისევე როგორც მათი ზომების ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური რეკლამირების მიზნით ყველაზე მეტი ფინანსური რესურსი გასწია სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა კერძოდ, „ქართულმა ოცნებამ-დემოკრატიულმა საქართველომ“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ბლოკმა „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებულმა ოპოზიციამ“. პოლიტიკური სუბიექტების მიერ სარეკლამო თვალსაჩინოების განთავსების ტენდენცია შემდეგნაირად გამოიყურება:

#### **ახალქალაქის მუნიციპალიტეტი:**

- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“: 2 დიდი ბილბორდი, 4 დიდი პლაკატ-ბანერი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“: 1 დიდი ბილბორდი, 3 დიდი ბანერი
- „რესპუბლიკური პარტია“: 3 დიდ ბანერი
- დამოუკიდებელი კანდიდატი არტაშეს ფალაჯიანი: 2 დიდი ბანერი

#### **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი:**

- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“: 1 დიდი ბილბორდი, 3 საშუალო- დიდი ბილბორდი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“: 1 დიდი ბანერი, 1 პატარა ბილბორდი
- პარტია „უსუფაშვილი-რესპუბლიკელები“: 1 საშუალო ზომის ბანერი, 1 პატარა ბანერი
- საინიციატივო ჯგუფი, 1 საშუალო დიდი ბილბორდი, 1 საშუალო ბანერი

#### **საგარეჯოს მუნიციპალიტეტი:**

- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“: 4 დიდი ბანერი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“: 3 დიდი ბილბორდი, 1 პატარა ბანერი
- ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“: 4 დიდი ბანერი, 3 საშუალო ბანერი, 1 პატარა ბანერი

#### **მარნეულის მუნიციპალიტეტი:**

- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“: 6 დიდი ბილბორდი, 1 საშუალო დიდი ბილბორდი, 6 დიდი ბანერი, 1 საშუალო ბანერი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“: 12 საშუალო დიდი ბილბორდი, 10 დიდი ბანერი, 2 საშუალო ბანერი
- ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“: 2 საშუალო პატარა ბილბორდი
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი სამშობლო“: 1 საშუალო დიდი ბილბორდი
- საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“: 2 საშუალო პატარა ბილბორდი
- ირაკლი ალასანია-„თავისუფალი დემოკრატები“: 2 საშუალო პატარა ბილბორდი
- ბლოკი „პატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“: 1 საშუალო დიდი ბილბორდი

#### **გარდაბანის მუნიციპალიტეტი:**

- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“: 4 დიდი ბილბორდი, 1 დიდი ბანერი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“: 3 დიდი ბილბორდი, 4 დიდი ბანერი
- საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“: 2 დიდი ბანერი

#### **ახალციხე / ადიგენის მუნიციპალიტეტები:**

- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“: 4 დიდი ბანერი, 3 საშუალო ბანერი
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“: 1 დიდი ბილბორდი, 1 დიდი ბანერი, 2 დიდი ბანერი, 2 საშუალო ბანერი
- ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“: 3 საშუალო ბანერი, 1 პატარა ბანერი

საგულისხმოა ის გარემოება, რომ საანგარიშო პერიოდში არ იქნა დაფიქსირებული პოლიტიკური სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოსყიდვის ტენდენცია, თუ არ გავითვალისწინებთ ორ ფაქტს, რომელიც იდენტიფიცირებულ იქნა გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ.

კერძოდ, #35 მარნეულის საარჩევნო ოლქში „მრავალეროვანი საქართველოს“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით 22 აგვისტოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შტაბის გახსნის შემდეგ შტაბისა და „ქართული

ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის ოფისის გვერდით გაიხსნა „ჩაი-ხანა“, რომელიც მოსახლეობას უმასპინძლდება უფასო ჩაით, ცნობილი არაა ჰქონდათ თუ არა აღებული ნებართვა თვითმმართველობიდან. მოსახლეობის ინფორმაციით ჩაით მათ უმასპინძლდება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი თ.ნავერიანი.

#46 ნინოწმინდა - ახალქალაქის საარჩევნო ოლქში, ახალქალაქში, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის ენზელ მკოიანის მხარდამჭერები ადგილობრივ ტაქსის მძღოლებს ურიგებდნენ 20 ლარიან საწვავის ტალონებს მაჟორიტარი კანდიდატისა და პარტიის მხარდაჭერის სანაცვლოდ. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ერთერთი ტაქსის მძღოლი, რომელმაც უარი განაცხადა საწვავის ტალონის აღებაზე (არსებობს შესაბამისი ჩანაწერიც).

## 5. რეკომენდაციები

- 1) ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა და დამრღვევ პირთა მიმართ გაატაროს დროული და ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომები.
- 2) სამართალდამცავმა სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა და დამრღვევ პირთა მიმართ გაატაროს დროული და ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომები.
- 3) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა აღკვეთონ სამუშაო საათებში საჯარო მოსამსახურეების მიერ აგიტაციის გაწევა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ.
- 4) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური მიუკერძოებლობის დაცვა და შესაბამისად არ დაუშვან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო, თუ ადამიანური რესურსების გამოყენება პარტიული მიზნებისათვის;
- 5) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელმა პირებმა უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისათვის საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების დონის ამაღლება.
- 6) წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტებმა და მათმა წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ აგიტაციის იმგვარი ფორმისგან, რომელიც შეიცავს ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს.
- 7) საჯარო ღონისძიებების ჩატარების პროცესში საჯარო მოხელეებმა თავი უნდა შეიკავონ მოსახლეობისათვის საჩუქრების დარიგებისაგან.
- 8) ადგილობრივმა, ისევე როგორც ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავონ საარჩევნო წელს, მაშ შორის წინასაარჩევნო პერიოდში სოციალური დაცულობისა და მსხვილი ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტების დაფინანსების გაზრდისაგან.